
ჩვენი საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 10 (266). გამოდის მე-15 წელი

1971 წლის 21 მაისი



საქართველოს დროშა მესამე ორდენმა დაამშვენა



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს აბნევს საქართველოს სსრ დროშას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 14 მაისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.



ქართველი ხალხის დიდი ზეიმი

ეს არის ჭეშმარიტად დიდი ეროვნული დღესასწაული. მაგრამ იგი არა მარტო ქართველი ხალხის დღესასწაულია, არამედ ძმური მეგობრობით შედუღაბებული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულიც არის. ამიტომ ჩვენს ზეიმზე ჩამოვიდნენ ძვირფასი სტუმრები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

ნათელი დღესასწაულის სიხარული კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ ზეიმის დღეებში საქართველოს უპირველესი და ყველაზე სასურველი სტუმარი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი.

საქართველოში თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ, გმირმა ქალაქებმა — მოსკოვმა და ლენინგრადმა, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, მეზობელმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, დაღესტანმა, ყაბარდო-ბალყარეთმა, ჩრდილოეთ ოსეთმა, ჩაჩნეთ-ინგუშეთმა.

ამრიგად, ჩვენს ზეიმზე შეიკრიბნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხთა მთელი მრავალფეროვანი ოჯახის წარმომადგენლები.

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის სასიხარულო, აღმაფრთოვანებელ დღეებში ქართველი ხალხი თავის ფიქრებს მიაპყრობდა დიდ ბელადს ვლადიმერ ლენინს. სწორედ ბელადის სიყვარულმა მიიყვანა 13 მაისს ათასობით თბილისელი ლენინის ძეგლთან, მოედანზე, რომელიც მის სახელს ატარებს. აქ იყვნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელები, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები. ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა ლეონიდ ბრეჟნევმა ყვავილებით შეამკო ბელადის ძეგლი, ყვავილებით შეამკეს აგრეთვე იგი მასიურ მშვანაძემ, გიორგი ძოწენიძემ, გივი ჯავახიშვილმა.

იმავე დღეს ზეიმზე ჩამოსული ლური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისა და კანდიდატების — ლეონიდ ბრეჟნევის, ვიქტორ გრიშინის, დინმუხამედ კუნაევის, პეტრე შელესტის, პეტრე მაშეროვის, ვასილ მჟავანაძის, შარიფ რაშიდოვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ძოწენიძის გამოჩენას სცენაზე. მათთან ერთად პრეზიდიუმში დაიკავეს ადგილები საქართველოს

მეგობრებო!

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

თითოეულის ცხოვრებაში არის ღირსშესანიშნავი თარიღები. განსაკუთრებით სასიხარულო, განსაკუთრებით ძვირფასია ადამიანის დაბადების დღე. ამ დღეს აღნიშნავს მთელი ოჯახი ყველა მეგობართან ერთად, ხოლო როცა სრულდება მთელი რესპუბლიკის დაბადების დღე — ეს უკვე მთელი ხალხის ზეიმია, მთელი ხალხის დიდი დღესასწაულია.

ასეთი დღესასწაულია დღეს ჩვენს ქართულ მიწაზე, დღესასწაულია ჩვენს ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში, ყოველი ადამიანის გულში, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის გულში...

ამხანაგმა მჟავანაძემ საზეიმო სხდომის მონაწილეებს წარუდგინა დღესასწაულზე ჩამოსული სტუმრები.

მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წელი“ წაიკითხა ვასილ მჟავანაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შესვენების შემდეგ სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს სხდომის მონაწილენი მას მქუხარე ოვაციით ხვდებიან. (ლეონიდ ბრეჟნევისა და ვასილ მჟავანაძის გამოსვლები გამოქვეყნებულია დღევანდელ ნომერში მცირეოდენი შემოკლებით).

საპასუხო სიტყვას ამბობს ვასილ მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებს.

ასეთი ზეიმი ქართველ კაცს ალბათ არც ახსოვს. არასოდეს ყოფილა ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი ასე ლამაზი, ასე მორთული.

საქართველოს უძველეს მიწაზე დიდი და სასიხარულო დღესასწაულია. შესრულდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდაათი წელი.

საზეიმოდ მორთულან რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. ყველგან — კავკასიონიდან და მტკვრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველებიდან შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკებამდე — დიდი სიხარული და საზეიმო განწყობილება სუფევს.

საზეიმოდ არის მორთული თბილისი — მარად ჭაბუკი, გაზაფხულის ნაზი ფერებით მოელვარე ქალაქი. ქუჩებსა და მოედნებზე ალისფრად მოჩანს ციფრი „50“. ფრიალებენ საბჭოთა კავშირის, საქართველოს, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დიადი ღლეგის ქრონიკა

დასასრული. დასაწყისი იხილეთ № 9.

1942

იანვარი. იქმნება ქართული სამხედრო ნაწილები.

7 IX. საქართველოს კინოსტუდიამ გამოუშვა ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ I სერია.

ნოემბერი. დაიწყო გერმანელ ფაშისტთა განადგურება კავკასიის მისადგომებთან.

18-24 XII. საქართველოს კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად პატრიოტული აღფრთოვანებით შეაგროვეს 72.500.000 მანეთი.

1943

22 III. საქართველოს მშრომელთა შრომითი დანაზოგებით აგებული საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიები გადაეცა საბჭოთა ავიაციას.

18 VII. გაიხსნა ხოხოულა-აჯამეთის სარწყავი არხი.

10 VIII. საქართველოს კინოსტუდიამ დაამთავრა კინოეპოპეა „გიორგი სააკაძის“ II სერიის გადაღება.

ნოემბერი. გამოიცა საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1944

1 V. დაწესდა medali „კავკასიის დაცვისათვის“.

28-30 V. მოსკოვში წარმატებით მოეწყო ქართული მუსიკისა და ლიტერატურის საღამოები.

28-29 XI. გაიმართა საქართველოს სსრ სოფლის ექიმთა I ყრილობა.

18. XII. საქართველოს ახალგაზრდობის მიერ შეკრებილი თანხებით აგებული საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილია „საქართველოს კომკავშირელი“ გადაეცა წითელ არმიას.

1945

12 IV. საქართველოს დაუბრუნდა მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს გატანილი სამუზეუმო განძეულობა.

30 IV. სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ რიგით ჯარისკაც მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა ბერლინის რაიხსტაგზე.

9 V. ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი სამამულო ომის დამთავრება.

1946

24 II. შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს.

მაისი. დაიწყო „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

აგვისტო. დაიწყო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

დეკემბერი. დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი და ფილოსოფიის ინსტიტუტი.

1947

21 V. გადაწყდა რუსთავის აზოტტუკის ქარხნის აშენება.

15 VI. გაიხსნა კეხვის სარწყავი არხი და სალთვისის სარწყავი არხის პირველი რიგი.

31 XII. ხრამჰესმა მოგვცა სამრეწველო დენი.

1948

19 I. დაბა რუსთავი გარდაიქმნა ქალაქ რუსთავად.

28 IX. სოხუმჰესის პირველმა აგრეგატებმა მოგვცა სამრეწველო დენი.

2 X. აღინიშნა ალექსანდრეჯყაზბეგის დაბადების 100 წლისთავი.

სექტემბერი. თბილისში დაარსდა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი.

1949

25-29 I. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა.

იანვარი. რუსთავის თბოელექტროცენტრალმა მოგვცა სამრეწველო დენი.

11 IX. ქუთაისში დაიწყო სატროლეიბუსო მოძრაობა.



სურათზე: თეატრალიზებული წარმოდგენის მონაწილენი რუსთაველის გამზირზე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სიკვდილის შემდეგ მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნიკოლოზ პოდგორნი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მიხეილ გიორგაძე.

(დასასრული)

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთობისა და ძმური მეგობრობის მძლავრ ჰიმნად გაისმა ძვირფასი სტუმრების გამოსვლა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს ესალმებიან კომკავშირელები, პიონერები, მოსწავლეები, სტუდენტები, სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენები, საბჭოთა არმიის ახალგაზრდა მეომრები...

საზეიმო სხდომის, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მისასალმებელი წერილი ეგზავნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

მისასალმებელი ტექსტი ტაშის გრიალში წაიკითხა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მგზავნი ხარაძემ.

სტუმრებს, დელეგაციათა ხელმძღვანელებს გულთბილი მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა. მან აღნიშნა: — ... ამბობენ, ქართველები სტუმართმოყვარენი არიანო. ამაზე ჩვენ, ქართველები, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ საქმე ეს როდია. სტუმართმოყვარეობით ახლა ჩვენში ვერავის გააკვირვებ. საბჭოთა ადამიანებისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. საქმე ის არის, რომ ქართული სტუმართმოყვარეობა დღეს სრულიად განსაკუთრებულია. ქართველი ხალხი ახლა განსაკუთრებით ხარობს, აღსავსეა განსაკუთრებით გულწრფელი და ღრმა გრძნობებით. ენა ვერ გამოთქვამს ამ გრძნობებს და არც ვაპირებ ამას. მგონია, ჩვენი სტუმრები უსიტყვოდაც კარგად გრძნობენ ყველაფერს...

რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა საიუბილეო კონცერტი, რომელიც იმავე საღამოს გაიმართა, მშვენივრად გამოხატავდა თბილისელებისა და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრების მხიარულ, ხალისიან განწყობილებას.

• • •

ზეიმი, ჩვენი სამშობლოს მთავარში ასეთი მძლავრი ნაბიჯებით რომ დაბიჯებდა, 15 მაისსაც გაგრძელდა.

ჩვენი ხალხის დიადი მიღწევების გამო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, მომავალ წარმატებათა რწმენით შეიკრიბნენ ამ დღეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელები სამხედრო აღლუმსა და სადღესასწაულო დემონსტრაციაზე.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ლ. ენუქიძე, ვ. ბრეჭნევი, ვიქტორ გრიშინი, დინმუჰამედ კუნაევი, პეტრე შელესტი, პეტრე მაშეროვი, ვასილ მჟავანაძე, შარაფ რაშიდოვი, სატექნიკის მცოდნენი, ფართო ნაკადად მოედინებიან ტანკები, შორსმსროლელი ქვემეხები, სარაკეტო დანადგარები...

დამთავრდა სამხედრო აღლუმი და იწყება მშრომელთა თეატრალიზებული დემონსტრაცია. ეს იყო დიდებული, გრანდიოზული სანახაობა. რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლთან მოწყობილ იმპროვიზებულ სცენაზე გაცოცხლდა გმირული წარსულის ამბები. ზეიმის მონაწილეებს თვალწინ წარმოუდგათ სურათები, რომლებიც მოგვაგონებენ საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობის შეუპოვარ, გმირულ ბრძოლას. წარმოდგენა წარმოდგენას ენაცვლება. აი გამარჯვებული ხალხი ახალი ცხოვრების აშენებას იწყებს: „ზაჰესი“, მსხვილ საწარმოთა მშენებლობა, თავდადებული შრომა ბაღებსა და პლანტაციებში... გაისმის დაფდაფების საგანგაშო ხმა, ფაშისტები არღვევენ ჩვენი დიადი ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებას. 700 ათასამდე ქართველი მიდის ფრონტზე, რათა მტერს საკადრისი პასუხი გასცეს. და აი ისინიც — გამარჯვებულნი, ტრიბუნაზე მყოფნი ტაშით ხვდებიან მელიტონ ქანთარიას გამოჩენას, რომელმაც მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე. აქვეა ქართველ პარტიზანთა ჯგუფი, რომლებმაც ცოტა როდი გააკეთეს ფაშისტური მანქანის დასამსხვრევად.

ტრიბუნას ჩაუარეს სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა კოლონებმა: ენერგეტიკოსებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მეტალურგებმა და ელმავალმშენებლებმა, მეცნიერებმა და მწერლებმა, მხატვრებმა და სპორტსმენებმა... აჰ არის ყველა, ვისმა თავდადებულმა შრომამ აქცია ჩვენი სამშობლო ასე ლამაზი, ასე ღონიერი, ასე შორს გამტანა სახელი.

• • •

საქართველოს ზეიმი ცისფერ ეკრანზე ნახა მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მშრომელებმა ნახეს და მოისმინეს პირდაპირი გადაცემა თბილისიდან, რომელიც მოაწყეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ და რადიოსადგურებმა.

საბჭოთა საქართველოს ზეიმის გასაშუქებლად თბილისში ჩამოსული იყო მოსკოვში აკრედიტებული უცხოელ კორესპონდენტთა დიდი ჯგუფი.

საბჭოთა საქართველოს იუბილესადმი მიძღვნილმა ზეიმმა ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, იგი ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ მტკიცედ მიმავალი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

ქართველი ხალხის დიდი ზეიმი

საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წელი

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

თითოეული ხალხის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც მკვეთრად ცვლიან მის ბედს, იწყებენ მისი ისტორიის ახალ ეპოქას. ქართველი ხალხისათვის ასეთი მოვლენა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება 1921 წელს. ორმოცდაათი წელიწადი არც ისე დიდი ხანაა ერთი ადამიანის ცხოვრებაში, ხალხებისა და სახელმწიფოსათვის კი ეს სულ ცოტა დროა. დღევანდელი დღე, სოციალისტური საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის დღე, შეგვიძლია ჩავთვალოთ თქვენი მშვენიერი რესპუბლიკის სიჭაბუკისა და აყვავების ზეიმად.

ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, რომ ამ საზეიმო დღეს კვლავ თქვენთან ერთად ვარ თქვენს სტუმართმოყვარე დედაქალაქში. ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ყველა კომუნისტს სახელოვანი დღესასწაული — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წლისთავი.

ძნელი და ნარკვლიანი იყო საქართველოს გზა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში. მაგნატივით იზიდავდა ამიერკავკასია დამპყრობთა ურდოებს. ვის არ დაულაშქრავს ეს მიწა. მაგრამ ჭირ-ვარამმა, რომელიც წილად ხვდა ქართველ ხალხს, ვერ მოდრიკა იგი, ვერ ჩააქრო მისი შემოქმედებითი ენერგია. ეს ენერგია ისევ და ისევ აღადგენდა საქართველოს ნანგრევებიდან და ფერფლიდან. მაგრამ ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია სრულად და მთელი ძალით გაიფურჩქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოიშორა ექსპლუატატორული წყობილების ბორკილი.

კავკასიონის მარადიული ჰაღარით მოსილი მთები არასოდეს მოსწრებიან მასობრივი სოციალური შემოქმედების ასეთ აღმაფრენას, ხალხის გულის სიღრმიდან მომავალ სწრაფვას სინათლის, თავისუფლებისა და პროგრესისაკენ! ისტორიულად მოკლე ვადაში რუსეთის იმპერიის უოფილი ნახევრად ფეოდალური განაპირა მხარე გადაიქცა თანამედროვე მრეწველობისა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სახელმწიფოდ, მთლიანი წიგნიერების, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად. ქართველი ხალხის ისტორიული ბედისა და საგმირო საქმეთა შთამბეჭდავი სურათი, რომელიც ვასილ პავლეს ძე მუავანაძემ დაგვიხატა თავის მოხსენებაში, ყველას გვაღელვებს.

მე მხვდა დიდი პატივი დავსწრებოდი საიუბილეო ზეიმებს უკრაინის, ბელორუსიისა და უაზახეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 50 წლისთავის გამო. ყოველთვის, როცა ამ სახელოვან წლისთავებს აღვნიშნავდით, თითქოს ხელახლა განვიცდიდით საბჭოების ქვეყნის გმირულ ისტორიას, ერთხელ კიდევ ვკვლებდით გონების თვალს იმ გზას, რომელსაც მოძმე ხალხები მიჰყავდა სოციალიზმისაკენ, შეგობრობისა და ერთიანობისაკენ. დღეს მე, ისევე როგორც სხვა ამხანაგები, თქვენი სტუმარი, საქართველოს სტუმარი ვარ. და აქ, სადაც თქვენთან ერთად ვდღესასწაულობ და ვხარობ, მინდა კვლავ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გზა, რომელსაც საქართველო ადგა და ადგას, — ეს არის მთელი ჩვენი ხალხის დიადი თანამეგობრობის გზა.

თვით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების არსმა, პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრულმა განხორციელებამ შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები, გადააქცია მათი შეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ენერგიისა და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ. ალბათ, არ არის კაცი, რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი მამა-პაპათა მამული, მშობლიური კულტურის, თავისი ენის, თავისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული. მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს გრძნობა — პატრიოტიზმის გრძნობა — შორდება ეროვნული კუთვნილების საზღვრებს, ახალი შინაარსით ივსება.

ჩვენ ყველანი, რომელ რესპუბლიკაშიც უნდა ვცხოვრობდეთ, საბჭოთა პატრიოტები, ერთი სოციალისტური სამშობლოს შვილები ვართ. ჩვენი მშობლიური მიწა, ჩვენი მამული — ეს არის უკიდეგანო სივრცეები, რომლებიც გადაჭიმულან წუნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან პამირსა და კავკასიამდე. და ყველაფერი, რაც ამ მიწაზე შეუქმნია ადამიანის ხელს, — დიდებული ქალაქები, გიგანტური სამრეწველო კომპლექსები და აბიბინებული ხოდაბუნები, ელექტროსადგურების კასკადები, სულიერი კულტურის ღირებულებანი, — ყველაფერი ეს საერთო შრომის შედეგია, ჩვენი საერთო კუთვნილება, საბჭოთა ხალხის კუთვნილებაა.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა სოციალიზმმა შვა. იგი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების, ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის პირმშოა. მაგრამ მისი ფესვები ღრმად არის გამჯდარი იმ ისტორიულ ეპოქაში, როცა მეფის რუსეთის ხალხები დგებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა საერთო მწყობრში. ამ მწყობრში ღირსეული ადგილი ეკუთვნით ქართველი ხალხის შვილებსაც.

საქართველოს რევოლუციური ბრძოლის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება რუსი ხალხის, კავკასიის ყველა ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მოღვაწეობასა და მოძღვრებას. ქართველი პროლეტარიატის რიგებიდან გამოსულ გამოჩენილ რევოლუციონერებთან — ალიოშა ჯაფარიძესთან, ლადო კეცხოველთან, ფილიპე მახარაძესთან, სერგო ორჯონიკიძესთან, იოსებ სტალინთან, ალექსანდრე წულუკიძესთან, მიხა ცხაკაიასთან ერთად საერთო პროლეტარული საქმისათვის იბრძოდნენ მიხეილ ივანეს ძე კალინინი, სერგი მირონის ძე კიროვი, ვიქტორ კურნატოვსკი და ივანე ფიოლეტოვი, სტეფანე შაუმიანი, სურენ სპანდარიანი და კამო (ტერ-პეტროსიანი), მეშედი აზიზბეკოვი და ნარიმან ნარიმანოვი.

ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვიდან



მინდა, ამხანაგებო, კვლავ გავიმეორო აქ ლენინის სიტყვები, რომლებიც შარშან მოვიყვანე საიუბილეო ზეიმზე ერევანში. ეი ეს სიტყვები: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“. დიახ, ამხანაგებო, ეს გადაწყვეტა, რომელიც მარქსიზმმა გამონახა, გამოვცადეთ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარიშხლებში, მჩქეფარე ხუთწლედებში, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. და მან გაუძლო ყველა განსაცდელს.

საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შესახებ. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა, სომეხმა დაშნაკებმა, აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა უცხოელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით შეძლეს დროებით ჩამოეშორებინათ ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთისაგან. სამი წლის განმავლობაში ჯერ გერმანია-თურქეთის, შემდეგ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ინტერვენტები მენშევიკებთან ერთად ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება საქართველოში, გადაექცათ იგი იმპერიალიზმის კოლონიად. და მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ებრძოდნენ ინტერვენტებსა და მათ მენშევიკ მარიონეტებს.

1921 წლის თებერვალში ქართველმა პროლეტარიატმა მოაწყო აჯანყება ხალხისათვის საძულველი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მენშევიკებმა შეიარაღებული დახმარება სთხოვეს ანტანტის იმპერიალისტებს. საქართველოს რევკომმა აჯანყებულთა სახელით მიმართა ლენინის მთავრობას. „ვიმედოვნებთ, დარწმუნებული ვართ, ნათქვამი იყო ამ ისტორიულ დოკუმენტში, — რომ არა მარტო დიადი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიად მატერიალურ შესაძლებლობათა ქვეყანა არ მიგვატოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახლად შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!“

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი პირადად უწევდა დახმარებას ქართველ კომუნისტებს ახალი, სოციალისტური საქართველოსთვის ბრძოლაში. თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცით ლენინის უამრავი გამოსვლა, წერილი და დეპეშა, რომლებიც მოწმობენ, რომ იგი პოულობდა დროს ჩახედოდა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ პრობლემებს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ლენინის წინასწარდასახულობებით ხელმძღვანელობდნენ და რუსეთის ფედერაციის, სხვა რესპუბლიკების ძმურ დახმარებას ეყრდნობოდნენ, წარმატებით ჩაუყარეს საძირკველი სოციალიზმს. პირველი ხუთწლედების წლებში რესპუბლიკა ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ბიბლიოთეკების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელით დაიფარა. მოხდა ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, განხორციელდა კულტურული რევოლუცია. სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში ფაქტი გახდა.

აქ, ამ დარბაზში, ესწრებიან ჩვენი პარტიის სახელოვანი ლენინური კოჰორტის წარმომადგენლები — ისინი, ვინც იბრძოდა საქართველოში მუშათა კლასის ძალაუფლებისათვის, ვინც აშენებდა სოციალიზმს ქართულ მიწაზე. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მხურვალედ, სულითა და გულით მივესალმო რევოლუციისა და პირველი ხუთწლედების ვეტერანებს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და ხანგრძლივი ბედნიერი სიცოცხლე.

საბჭოთა წყობილების უძლეველი ძალიერება, საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეაკავშირა, უდიდესი ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. ამ ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოც. 1942 წლის ზაფხულში უდიდესი ზარალის ფასად მტერმა მოახერხა კავკასიის მთისწინეთში შემოჭრილიყო. ომი უშუალოდ რესპუბლიკის საზღვრებს, თქვენი სახლის კარს მოადგა. მთის მძიმე პირობებში საქართველოს მშრომელები აგებდნენ თავდაცვითს ზღუდეებს. ზაფხულის ხვატში, შემოდგომის კოკისპირულ წვიმებსა თუ ზამთრის ჭარბუქში მათ ფრონტზე მიჰქონდათ საომარი მასალები, სურსათი, აღჭურვილობა.

გმირმა საბჭოთა ჯარებმა, რომელთა რიგებში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც, გაანადგურეს და უკუაგდეს მტერი. მთელ მრავალეროვან საბჭოთა არმიასთან ერთად ქართველმა მებრძოლებმა გამარჯვების გზა განვლეს კავკასიის მთებიდან ბერლინამდე. დადგა ნანატრი ჟამი, რაიხსტაგზე აფრიალდა წითელი დროშა, გამარჯვების დროშა. იგი აღმართეს რიგითმა ჯარისკაცმა ეგოროვმა, თქვენმა თანამემამულემ — სერჟანტმა ქანთარიამ, უფროსმა ლეიტენანტმა სამსონოვმა. შეიძლება ითქვას, რომ მათთან ერთად ამ დროშის ტარი ეჭირა მილიონობით საბჭოთა ხელს, იგი ეჭირათ იმათაც, ვინც გამარჯვებას შეეგება, იმათაც, ვინც გამარჯვებისათვის თავი გასწირა.

მე მომიხდა მებრძოლა ერთ-ერთ უნიჭიერეს საბჭოთა მხედართმთავართან მე-18 არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძესთან ერთად. ფრონტზე ძალიან მალე მყღავნდება ადამიანის ბუნება, იქ მამინვე იგება, ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამახსომდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი და მგზნებარე გულის პატრონი.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდ სიხარულს მგვრის გაცნობოთ, რომ ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეს გუშინ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე, რა თქმა უნდა, გამონაკლისი როდი იყო. ქართველი ხალხის ათიათასობით მამაცმა შვილმა თავისი სახელი შემოსა დიდების შარავანდედით. 137 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, ორას ორმოც ათასზე მეტი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

მხედრული გმირობის შესაფერი იყო იმათი შრომითი გმირობაც, ვინც ზურგში მუშაობდა. საქართველო ფრონტს აძლევდა თვითმფრინავებს, ავტომატურ იარაღსა და სხვა სახეობის შეიარაღებას, ტყვია-წამალს, ტანსაცმელსა და სურსათს. ჰოსპიტლებად გადაკეთებულმა საქართველოს საავადმყოფოებმა და ჯანმრთელობის კერებმა ასეულ ათასობით დაჭრილს შეუწყეს ხელი კვლავ დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. გულითადი ზრუნვით ეკიდებოდა ქართველი ხალხი სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებულთ. აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ხალხთა ლენინური მეგობრობა — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევი საფუძველი.

რამდენიმე დღის წინათ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იდღესასწაულა დიადი გამარჯვების 26 წლისთავი. დიდი დღესასწაული იყო ქართულ მიწაზეც. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მივულოცო დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, — იმათაც, ვინც ჩვენს საზეიმო სხდომას ესწრება, და იმათაც, ვინც ახლა რადიომიმღებებთან და ტელევიზორებთან ზის. მოგესალმებით სულითა და გულით, ძვირფასო მებრძოლო მეგობრებო! მივესალმები და ვულოცავ უველას, ვისმა საბრძოლო გმირობამ და თავდადებულმა შრომამ გამარჯვება მოგვიტანა.

ექვსასი ათასზე მეტი მეომარი მისცა საქართველომ ფრონტს. ყოველი მესამე მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა, საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას რომ იცავდა. ახლაც კი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჯერ კიდევ შეხვდებით ძაძით მოსილ ქალებს, რომლებიც გლოვობენ დაღუპულ მამებს, ქმრებსა და შვილებს. ეს გლოვა ჩვენთვის წმიდათა წმიდაა. მარადიული ხსოვნა და მარადიული დიდება იმათაც, ვინც ვერ დაბრუნდა ომის ცეცხლოვანი გზებიდან!

ფაშიზმის განადგურების შემდეგ საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. მას შემდეგ განვლილ მეოთხედ საუკუნეში ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ, დაიწყო ახალი ისტორიული ეტაპი — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპი. უდიდესი ცვლილებანი მოხდა თქვენს რესპუბლიკაშიც. ამ ცვლილებებს მოწმობს უველაფერი — ქალაქებისა და სოფლების ახალი სახე, ახალ ქარხნები, ელექტროსადგურები და ინსტიტუტები, ბარაქიანი მიწების ახალი მასივები. ამასვე მოწმობს მშრომელი ადამიანების — მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ახალი სახეც.

საქართველოს მუშათა კლასი დღეს კვალიფიციურ ადამიანთა თითქმის მილიონიანი არმიაა, რომელთა ნახევარზე მეტს საშუალო განათლება აქვს. ისინი მუშაობენ თანამედროვე საწარმოებში, უშვებენ რთულ მექანიზმებს, უძვირფასეს მოწუობილობასა და სხვა ჩინებულ ნივთებს...

მუშებს არც რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა ჩამოუვარდება. ესენი არიან აგრეთვე ახალი, საბჭოთა ფორმაციის ადამიანები. ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობა ოდითგანვეა ცნობილი. დღეს კი მათი შრომისმოყვარეობა გაძლიერებულია კოლექტივის ძალით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებასა და იარაღების, ზოგჯერ უნიკალური იარაღების არსენალით. ისინი დაუფლებულნი არიან აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდებს. სწორედ მათი ხელით გადაიქცა საქართველო აუვავებულ, ბარაქიან ბაღად.

უდიდეს შემოქმედებითს როლს ასრულებს საქართველოს ახალი, სახალხო ინტელიგენციაც. ახლა ეს რჩეულთა ვიწრო წრე როდია. ახლა ეს ათეულ ათასობით მასწავლებელი და ექიმი, ინჟინერი და აგრონომი, მეცნიერი და წარმოების ორგანიზატორი, კულტურის მოღვაწე და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელია. მუშებთან ერთად, გლეხობასთან ერთად საქართველოს ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მთელ თავის ცოდნას, გონებასა და ნიჭს ახმარს ხალხის კეთილდღეობას.

ამხანაგებო! მე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ. თქვენს რესპუბლიკაში აღმაფრენით შრომობენ ათასობით შესანიშნავი მეტალურგი და მანქანათმშენებელი, მაღაროელი და

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

მექანიზატორი, მევენახე და მეჩაიე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საწარმოთა დირექტორები, ინჟინრები და მეცნიერები, მწერლები და მხატვრები. ძალიანაც მინდა ჩამოვთვალო უველა ამ შესანიშნავი ადამიანის სახელი, მაგრამ ამას, როგორც გესმით, ჩვენს სხდომაზე ნაკლები დრო დასჭირდება, ამიტომ, მოდით, ამხანაგებო, ერთად მივესალმოთ თავისი საქმის უველა ამ ჭეშმარიტ ოსტატს — მშრომელი საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლებს. ისინი შედიან იმ სახელოვან თანავარსკვლავედში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დიდებას შეადგენენ. პატივი და დიდება მათ, მთელი ხალხის დიდი მადლობა!

ქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის უველა კუთხეში მიედინება თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა მარკიანი მრავალფეროვანი სამრეწველო ნაწარმი. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგის ზეთისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები. აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც საბჭოური მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ. საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებსაც სხვა რესპუბლიკების მეცნიერთა თანამეგობრობით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება — საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღანთებენ საბრძოლველად უველივე ომის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

სულიერ ღირებულებათა შექმნა ფაქიზი და რთული საქმეა. პარტიამ XXIV ყრილობაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, დასახა საბჭოთა მრავალეროვანი კულტურის აღმავლობის ახალი პერსპექტივები. ჩვენ უველამ ვიცით, რომ ხშირად როდი იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, საუკუნეებში რჩებოდეს. და მაინც გვინდა, რომ ჩვენში იქმნებოდეს ისეთი სიღრმისა და მხატვრული ძალის მეტი ნაწარმოებები, რომლებიც მარტო ჩვენ, თანამედროვეებს, როდი მოგვხვდებოდა გულს და აღგვაფრთოვანებდა. საჭიროა, რომ ჩვენმა შთამომავლობებმა ათწლეულების შემდეგ თქვან: ჩვენ 70-იან წლების საბჭოთა ადამიანებისაგან მივიღეთ იმ დიადი დროის ღირსეული ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, იმ დიადი საქმეების ღირსეული მემკვიდრეობა, რომლებსაც ისინი აკეთებდნენ!

ამხანაგებო! საქართველო რომ აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა, ეს ქართველი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დამსახურებაა, აფხაზების, ოსების დამსახურებაა, უველა ეროვნების მშრომელთა დამსახურებაა, რომლებიც თქვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ. ეს არის საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის დამსახურება, რომლებიც აერთიანებენ პარტიულ ორგანიზაციათა ინიციატივასა და მეცადინეობას, წარმართავენ მათ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის საერთო კალაპოტში. ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, სულითა და გულით მივულოცო რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელებს, პარტიულ აქტივს, უველა კომუნისტს საქართველოს კომპარტიის ორმოცდაათი წლისთავი და ვუსურვო მათ ახალი დიდი წარმატებანი სოციალისტურ საქართველოს საკეთილდღეოდ, მთელი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

შემდეგ საპატიო სტუმარმა ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საკითხებზე, პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებსა და მათ შესრულების მიმდინარეობაზე, ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. — ინტერნაციონალიზმის დამაჯერებელმა დემონსტრაციამ, რაც ყრილობაზე ვნახეთ, — განაცხადა ლეონიდ ბრეჟნევმა, — ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ფართოვდება, ცოცხლობს და მტკიცდება და რომ მისი ძალა ერთობაშია...

...ჩვენ ვიღვწით საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და კანონიერი უფლებების აგრესიული ხელყოფის წინააღმდეგ და მზად ვართ ვითანამშრომლოთ უველა ორგანიზაციასა და პარტიასთან, რომლებიც ნამდვილად ესწრაფიან ამავე მიზნებს. კერძოდ ყრილობაზე ჩვენ კვლავ დავადასტურეთ, რომ პოზიტიურად ვეკიდებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან შესაძლო ერთობლივ მოქმედებას საერთაშორისო ასპარეზზე.

...ვახორციელებთ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე მათი, როგორც მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დიდი კოალიციის როლის შემდგომი ამაღლებისათვის. ვახორციელებთ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ კავშირს ეროვნულ განმათავისუფლებელ და მთელ რევოლუციურ მოძრაობასთან. ვახორციელებთ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, უველ ღონეს ვიხმართ, რათა უზრუნველვყოთ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ბრეჟნევმა თქვა: ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშაზე ორი ლენინის ორდენი კიაფობს. ეს ქართველი ხალხის, ქართველი კომუნისტების დიდ დამსახურებათა საყოველთაო სახალხო აღიარებაა. დღეს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმის ღირსსახსოვარ დღეს, დიდი სიხარულით უნდა გაცნობოთ, რომ საბჭოთა საქართველო დაჯილდოვდა კიდევ ერთი ორდენით — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

(შემდეგ ლეონიდ ბრეჟნევი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას. სცენაზე ადიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები და შრომის მოწინავენი. მჟუხარე ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხანაგი ბრეჟნევი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს აბნევს რესპუბლიკის დროშაზე.

ამხანაგი ბრეჟნევი ამბობს: ნება მიბოძეთ სულითა და გულით მივულოცო საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, უველა მშრომელთ მაღალი ჯილდო, რომელიც, ასე ვთქვათ, აგვირგვინებს რესპუბლიკის ნაბეკარსაუკუნოვან გზას. შეგიძლიათ იამაყოთ ამ ჯილდოთი. იგი დაიმსახურეთ თქვენ: იმათაც, ვინც დღეს უველა მოძმე ხალხთან ერთად აგებს კომუნიზმის შენობას, იმათაც, ვინც თავდადებით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში, ვინც რევოლუციურ მებრძოლთა ინტერნაციონალურ მწყობრში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, საძირკველს უყრიდა საბჭოთა წყობილებას ძველ ქართულ მიწაზე.

ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის გამოსვლის დროს დარბაზში არაერთხელ გაისმის მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში, ხოლო მის უკანასკნელ სიტყვებს საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარი ხვდებიან. ჟუხს ოვაცია, გაისმის შეძახილები, „ვაშა“!

საქართველოს მთასა და ბარში

შენდება და მშენდება საქართველოს მთა-ბარი. ამ საზეიმო დღეებში ვერ ნახავთ სოფელს, დაბას, რაიონულ ცენტრს, ქალაქს რაიმე ახალი — გზა, ხიდი, კლუბი, სამკვიდრო ბაღი თუ საცხოვრებელი სახლი არ შემატებოდეს. აი ზოგიერთი სასიხარულო ნობათი.

ყვარლის რაიონის სოფელ გრემში კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით ააგო კულტურის სახლის ლამაზი შენობა. სახლს აქვს 300-ადგილიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა, ოთახები საწრეო მუშაობისათვის. კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი.


ზუგდიდში, სტალინის სახელობის მოედანთან აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსართულიანი სახლი „ცისარტყელა“, რომელშიც დასაქმებულია 50 კვალიფიციური ხელოსანი.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა, მეკაბელეებმა, შორაპნელმა ელექტროელემენტების ქარხნის მუშებმა ააგეს ოთხ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სადაც ათობით ოჯახმა იზეიმა ახალსახლობა.

ზესტაფონში ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაიცა ახალი საბავშვო ბაღები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი, მაღაზიები, რესტორანი...

თერჯოლელებმაც კარგი საჩუქარი მიიღეს. ახლახან დამთავრდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, დასასრულს უახლოვდება 60-ადგილიანი სამშობიარო სახლისა და მუსიკალური სკოლის მშენებლობა. იგება 120-საწოლიანი საავადმყოფო, ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის. ბევრი რამ შენდება ამ რაიონის სოფლებშიც. აიგო ეწერის რვაწლიანი სკოლა, გაიყვანეს წყალსადენები სიქთარვაში, ეწერში, ზედა სიმონეთში, ნაგარევში, ჭოგნარში, კვახჭირსა და ჩხარში.

ონის რაიონის სოფელ სორელში არსებული ერთი ბიბლიოთეკა ვეღარ აუდიოდა მკითხველებს. ახალგაზრდობის ინიციატივით ამ დღეებში სოფლის ქვემო უბანში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა.



სურათზე: თბილისის აეროვაგზლის ახალი შენობა.

თბილისი აქედან იწყება...

ქართული სტუმართმოყვარეობა მარტო ლხინად გაშლილი სუფრა როდია, ყველაფერი, რასაც სტუმრის თვალი სწვდება, უნდა იყოს ლამაზი, სასიამოვნო, ეშხიანი... ასე მოგვდგამს მამა-პაპათაგან, ასე გრძელდება ახლაც...

აეროვაგზალი, დღემდე რომ გვქონდა, ურიგო არ ყოფილა, მაგრამ დიდაჭარის პირველ მასპინძლად ვეღარ გამოდგებოდა, თქვენს თბილისელებმა და ახლის შენებას შეუდგნენ. ამ საზეიმო დღეებში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ათასობით სტუმარს ფართოდ გაუღო კარი ნატიფად ნაგებმა აეროვაგზალმა და ახლა ყველა ჩვენგანს ეამაყება, რომ თბილისი აქედან იწყება.

ეს შესანიშნავი შენობა, რომელიც აგებულია თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტის პროექტით (მთავარი არქიტექტორი საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ვლადიმერ ბერიძე, არქიტექტორი შოთა თოდრია, ინჟინერ-კონსტრუქტორი მიხეილ ჩაწჩიბაძე), ნავარაუდევია თბილისიდან თვითმფრინავით მიმავალი ათასი მგზავრისათვის საათში.

მოსაცდელი, ჩასასხდომი, ბუფეტი, კაფე, კავშირგაბმულობის განყოფილება, ოთახი „დედისა და ბავშვებისათვის“, ყველაფერი ძალზე მოხერხებულად. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის შესაბამისად აუგიათ და განულაგებიათ მშენებლებს.

წარმატებით არის გადაწყვეტილი შენობის მიკროჰავისა და აკუსტიკის საკითხი. აეროვაგზლის გარეთა და შიგა მოპირკეთებისათვის გამოყენებულია ქართული მარმარილო და ბუნებრივი ქვები.

სამგზავრო შენობის წინ გაშენდა მოედანი, რომელიც ერთდროულად 500-ზე მეტ ავტომობილს დაიტევს.

1950

აპრილი. ფართოდ აღინიშნა ლენინის დაბადების 80 წლისთავი.

27 IV. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ მოგვცა პირველი ქართული ფოლადი.

ივნისი. განახლდა მუხრანის სარწყავი არხის მშენებლობა.

1951

ივლისი. ჩინურ ენაზე გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“.

15. VII. გაიხსნა ტირიფონის ჰიდროელექტროსადგური.

ივლისი. მწყობრში ჩადგა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი.

18 VIII. ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გამოუშვა „ზის-150“ მარკის პირველი სატვირთო ავტომანქანა „კაზ-120“ მარკის ძრავით.

4 XI. გაიხსნა სამგორის სარწყავი სისტემის ზემო სამგორის მაგისტრალური არხი. მდინარე იორმა დაიწყო თბილისის წყალსაცავის ავსება.

1952

აპრილი. თბილისის ჰიდრომეტრ-ხელსაწყოთა ქარხანამ აითვისა სპეციალური აქტინომეტრიული ხელსაწყოების გამოშვება, რომლებიც გათვალისწინებულია მზის სხივების რადიაციის გამოკვლევისათვის.

მაისი. ჭიათურაში საექსპლოატაციოდ გადაიცა სსრ კავშირში პირველი სამგზავრო-საბაგირო გზა.

ივლისი. ჰელსინკის ოლიმპიურ ასპარეზობებზე ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა არსენ მეკოკიშვილმა და დავით ციმაკურიძემ, ტანმოვარჯიშე მზია ჯუღელმა, ვერცხლის მედლები — ლევან სანაძემ, შალვა ჩიხლაძემ, ბრინჯაო — ნინო დუმბაძემ.

15-18 IX. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობა.

21 XII. თბილისში გაიხსნა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

1953

მარტი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბუქარესტის IV მსოფლიო ფესტივალზე ოქროს მედლები გადაეცა და ლაურეატის წოდება მიენიჭა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

დეკემბერი. საექსპლოატაციოდ გადაიცა ორთაჭალა-ჰესი, ვანათის სარწყავი და წითელწყაროს ამოსაწრობი სისტემები.

1954

16-18 II. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

მაისი. აღინიშნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის დაბადების 100 წლისთავი.

ივლისი. ექსპლოატაციაში შევიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე ღუმელი.


ოქტომბერი. საექსპლოატაციოდ გადაიცა მუხრანის სარწყავი სისტემის პირველი რიგი.

დეკემბერი. საექსპლოატაციოდ გადაიცა კოლხეთისა და ენგურხუმუშკურის საწრობი სისტემები.

დიადი წლების ქრონიკა

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის პრომოცდაათი წელი

ქმხანაგ ვასილ მჟავანაძის მოხსენებიდან



— როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ — რუსებო, — თქვა მან, — მაშინ ჩვენც, შვილთა შვილიშვილებს, გვიანდერძეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით.

ასე მტკიცედ დაუკავშირა ქართველმა ხალხმა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს. ასე სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველო რუსეთს!

120 წელიწადი გავიდა ამ გაერთიანების შემდეგ და 1921 წლის თებერვალში, როცა საქართველოში დაიწყო რევოლუციური აჯანყება, როცა ქართველი ხალხი აღდგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა აჯანყებულთა სახელით დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს...

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ლენინის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს, ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორია. რომ ამ დიდ ამბებსა და მოვლენებს წინ უძღოდა მრავალი წლის მტკიცე და დაძაბული ბრძოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლენინურ-ისკრული მიმართულების რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

საქართველოს მუშათა კლასის მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო ამიერკავკასიის პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატული ორგანიზაცია „მესამე დასი“. მომხსენებელმა თქვა, რომ საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობა განუყრელად არის დაკავშირებული იოსებ სტალინის, ლადო კეცხოველის, ალექსანდრე წულუკიძის, მიხა ცხაკაიას, სტეფანე შაუმიანის, ფილიპე მახარაძის, ალიოშა ჯაფარიძის, ზაქარია ჩოდრიშვილის, მიხეილ ბოჭორიძის, კამოს, ალი ტაგიზადეს, ივანე სტურუას, აბელ ენუქიძის, გიორგი თელიას და გამოჩენილი რუსი სოციალ-დემოკრატების მიხეილ კალინინის, ვიქტორ კურნატოვსკის, თეოდორ აფანასიევის, სერგო ალილუევისა და სხვების სახელებთან.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ — დიდი ლენინური პარტიის ერთ-ერთმა უძველესმა მებრძოლმა რაზმმა სახელოვანი გზა განვლო პირველი მარქსისტული წრეებიდან ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა დღევანდელ თითქმის 300-ათასიან არმიამდე.

ვასილ მჟავანაძემ გაიხსენა საბჭოთა საქართველოს პირველი დღეები. ეს იყო რთული, მეტად დაძაბული საერთაშორისო ვითარების წლები, ქვეყანაში სრული სამეურნეო ნგრევის, მწვავე სასურსათო კრიზისის დღეები. ხალხი მშიერი და შიშველ-ტიტველი იყო. მაგრამ მათ არ აშინებდათ არავითარი სიძნელე. გამარჯვებული ხალხი, მოზღვავებული ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი ცხოვრების მშენებლობას შეუდგა.

საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზა ვერ ეტევა ჩვეულებრივ წელთაღრიცხვაში. წარსულში საქართველო იყო რუსეთის იმპერიის ეკონომიურად ჩამორჩენილი განაპირა მხარე, რომელსაც სუსტად განვითარებული, ძირითადად კუსტარული მრეწველობა და პრიმიტიული სოფლის მეურნეობა ჰქონდა. ახლა საბჭოთა საქართველო დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი, მაღალმექანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურის რესპუბლიკაა.

და ამ წარსულსა და აწმყოს ერთმანეთისაგან აშორებს სულ 50 წელიწადი.

ნახევარსაუკუნოვანი გზის შედეგების შეჯამებისას საბჭოთა საქართველოს მშრომელებს დღეს უდიდესი კმაყოფილებისა და კანონიერი სიამაყის გრძნობით შეუძლიათ თქვან: ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად, ჩვენი ხალხის შეუპოვარი, თავდადებული შრომით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ საზოგადოებას აშენებს, რესპუბლიკის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეული, მანამდე არნახული ცვლილებები მოხდა.

მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებაა დაბადება და ჩამოყალიბება ახალი ადამიანისა, კომუნისტური ფორმაციის ადამიანისა, რომელსაც ახალი მორალური საფუძვლები აქვს და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგულია.

ეს ადამიანი საბჭოთა საქართველოშიც დაიბადა და ყველაფერს, რასაც იგი აკეთებდა, — აშენებდა ელექტროსადგურებს თუ გაჰყავდა სარწყავი არხები, ადნობდა ფოლადს თუ აგებდა სკოლებს, რგავდა ხეებს თუ წერდა წიგნებს, — ყველაფერს ამას აკეთებდა ადამიანებისათვის, ხალხისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის, რომლისთვისაც სულ ცოტა ხნის წინათ აწყობდა გაფიცვებს, ირაზმებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის, განდევნა მემამულეები და კაპიტალისტები, მოახდინა მიწის, ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია, დაამხო მენშევიკური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

სწორედ ამ ადამიანმა — ახალი ცხოვრების მშენებელმა შექმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური მრეწველობა. და მხარეს, სადაც წინათ ყველაფერი, ნემსიც კი, შემოჰქონდათ, ახლა მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ინდუსტრიულ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც კი გაქვს ასზე მეტი სახელწოდების სამრეწველო პროდუქცია, კერძოდ ურთულესი მანქანები და მოწყობილობა.

ახლა საქართველო უშვებს სამგზისტრალო ელმავლებსა და ჩქაროსნულ თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომობილებსა და წუალქვეშაფრთიან საზღვაო კატარღებს, საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებსა და რთულ ლითონსაჭრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და ელექტროძრავებს, ამწეებსა და არტეზიულ ტუმბოებს, საშენ მასალებსა და პლასტმასის ნაწარმს.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები — შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროტექნიკური, ქვანახშირის, ქიმიური, საფეიქრო, კვების დარგები. აშენდა ათასამდე მსხვილი საწარმო, როგორიც არის მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ფეროშენადნობთა ქარხანა ზესტაფონში, საავტომობილო — ქუთაისში, ნავთობგადამამუშავებელი — ბათუმში, ბამბეულის კომბინატი — გორში, ჩარხსაშენებელი, ელმავალსაშენებელი და საავიაციო ქარხნები — თბილისში.

საქართველოს ელექტრიფიკაციის პირმშო—ლენინის „გოელროს“ გეგმით აშენებული ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგური, ათობით დიდი და პატარა ელექტროსადგური და ამჟამად ენგურზე მშენებარე ჰიდროენერგეტიკის გიგანტი — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების გზა, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის მთლიანი ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებაში. მთელი სამძლავრით ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შემდეგ, რომელიც 45-ჯერ გააჯაჭარებს ზაჰესს, ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში ერთბაშად გაორკეცდება და უფრო მეტად გაიზრდება. ახალი ხუთწლედის დამლევისათვის ჩვენში ერთ დღეში გამომუშავებული იქნება თითქმის იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც ომის წინა წელს იწარმოებოდა ერთ თვეში.

— ჩვენი მუშაობის ღირსების საქმეა, — თქვა ვასილ მჟავანაძემ, — მომავალ ხუთწლედში 39-42 პროცენტით გაადიდონ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, ჩვენი მშენებლობის ღირსებების საქმეა აამოქმედონ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველი ელექტროსადგური, დაიწყონ ყინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, დაამთავრონ მადნეულის სპილენძის გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა... საამისოდ კარგად ავიღეთ ახალი ხუთწლედის სტარტი. მრეწველობამ ვადამდე, 27 აპრილს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი...

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მეტად დიდი და დაძაბული მუშაობა მოგველის. ყრილობის მიერ დასახული უდიდესი პროგრამის შესრულება მოითხოვს ახალ შრომის ღონისძიებებს, შეუპოვარ, შთაგონებულ, შემოქმედებით შრომას.

ყოველივე ეს, როგორც ყოველთვის, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის საქმე იქნება.

დღეს შეგვიძლია დავასახელოთ ბევრი მოწინავე, წარმოების ნამდვილი ნოვატორები, როგორიც არიან მეფოლადე ამირან ფანცულაია, მეშახტე ტრიფონ ფოფხაძე, გამწყობი იოსებ ხაზარაძე, მჭედელი კონსტანტინე ილურიძე, გვირაბგამყვანი კუზმა ლიუბავსკი, მქსოველი ეთერ სოლომონია, მემოდელე ვასილ ბოროდავკა. მებიგე რაულდენაძე, ზეინკალი სედრაკ გუმროიანი, ხარატი ზურაბ სარალიძე, მნგრეველი ალიხან ხუგაევი, მებეტონე ნადეჟდა ომერაძე, მგრეხავი ვალენტინა რიჟოვა, მემანქანე ვახტანგ სტურუა.

(დასასრული მე-6 გვერდზე).

გვაგონდება მეორე დიდი ქართველი პოეტის ჰაკიი წერეთლის სიტყვები:

საიუბილეო ნოგათები



სადგური „ისანი“. მდუარდ გიგილაშვილის ფოტო

„ისანი“ და „სამგორი“

ჩამთავრდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მესამე უბნის მშენებლობა. მწყობრში ჩადგა ორი ახალი სადგური — „ისანი“ და „სამგორი“.

ახლა ჩვენი დედაქალაქის მიწისქვეშა ტრასების სიგრძე 13 კილომეტრამდეა და მას ორი მიწისზედა და ცხრა მიწისქვეშა სადგური აქვს. მგზავრს ტრასის მოხერხებულობა საშუალებას აძლევს სულ რაღაც 15-20 წუთში ქალაქის ერთი ბოლოდან — დიდუბიდან მეორე ბოლომდე — სამგორამდე (ყოფილი ნავთლუღი) მივიდეს.

ჩვენმა არქიტექტორებმა თითოეული სადგური ახლებურად გადაწყვიტეს. ამ მხრივ არც „ისანი“ და „სამგორია“ გამონაკლისი. თბილისელები თუ მისი სტუმრები იხილებიან ამ ლამაზი შენობების ხილვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სადგური „ისანი“ (არქიტექტორი გივი მოძმანიშვილი). იგი ძალიან ფართოა და ჰაეროვანია, სრულიად ახლებურად გამოიყურება მისი მიწისზედა ვესტიბიული, უნიკალური სახურავი. შესანიშნავია აგრეთვე სადგური „სამგორი“.

ორივე სადგურის მოსაპირკეთებლად ძირითადად გამოყენებულია ალუმინი, მინა, გრანიტი და მარმარილო.

თბილისის მეტროს მშენებლებმა ახლა მთელი ძალები 5,8 კილომეტრი სიგრძის მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებლობაზე გადაიტანეს. საბურთალოს მიმართულებით გაჭრილ ამ ახალ ტრასაზე ოთხი სადგური (წერეთლის გამზირი, დელისი და სხვები) განლაგდება.

საიუბილეო ნოგათები

ამხანაგ ვასილ მჟავანაძის მოხსენების დასასრული

პატივი და დიდება საქართველოს გმირ მუშათა კლასს!

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა ქართულ სოფელშიც. შეიქმნა მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც გაიარა გზა ხის კავიდან ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველომდე“. ამ წლების მანძილზე ჩვენში ფართოდ განვითარდა სოფლის მეურნეობის სავსებით ახალი დარგები, როგორიც არის მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოება.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მშრომელებმა წლეულს. კარგი საფუძველი ჩაეყარა უხვ მოსავალს და, ეს გახდება იმის მტკიცე გარანტია, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა სახეობის მიხედვით წარმატებით შესრულდება.

ყოველივე ეს, როგორც ყოველთვის, ჩვენი შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობის გარჯის ნაყოფი იქნება.

დღეს შეგვიძლია დავასახელოთ უხვი მოსავლის ბევრი ოსტატი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, როგორიც არიან მეჩაიეები თამარ ყუფუნია, ასმათ ჯიჯავაძე, ლიდია კოსენკო, მარიამ არძინბა, მევენახე მიხეილ მექვევრიშვილი, მეთამბაქოე პროკოფი სვანიძე, მწველავები ეუნია პაპოიანი და გულსანამ ალიევა, მეხილე გრიგოლ საგაკაევი, მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილი, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორები ანთიმოზ როგავა, მიხაკო ორაგველიძე, ნიკო მამაიაშვილი.

პატივი და დიდება საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს!

თქვენ იცით, რა ტრაგიკული იყო ზოგჯერ საქართველოს ბედი. უცხოელთა გამანადგურებელ შემოსევებს, ცარიზმის დიდმპყრობელურ, კოლონიზატორულ პოლიტიკას მოჰყვა ის, რომ ხალხი, რომელსაც უკვე IV საუკუნეში ჰქონდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა კოლხეთში, XII საუკუნეში კი შუა საუკუნეების პირველი უმაღლესი სასწავლებლები — იყალთოსა და გელათის აკადემიები, ხალხი, რომელიც საერთოდ ცნობილია თავისი მაღალი კულტურით, რევოლუციის წინ თითქმის უწიგნური აღმოჩნდა.

ახლა საბჭოთა საქართველო მარტო მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკა როდია. ახლა საბჭოთა საქართველოს აქვს მოსახლეობის განათლების ისეთი დონე, რომელიც ერთერთი უველაზე მაღალია მსოფლიოში. ყოველ 1000 მომუშავეზე 711 კაცს აქვს უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლება. ახლახან გამოქვეყნდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემები, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, თუ რა დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ კულტურულ მშენებლობაში. ამას მოწმობენ ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები, რომლებიც მიენიჭათ ჩვენი მეცნიერების დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევებსა და აღმოჩენებს, აგრეთვე ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით.

ყოველივე ეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისეთი მოღვაწეების დაძაბული, შემოქმედებითი, შთაგონებული შრომის ნაყოფია, როგორიც არიან ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, უჩა ჯაფარიძე, ანდრია ბალანჩივაძე. ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა დარგში — მეცნიერებასა და ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში, ფერწერასა და მუსიკაში — ჩვენ გვყავს შესანიშნავი ნიჭიერი ოსტატები, და არ ვასახელებთ ყველას, ვინც ღირსია დასახელებისა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბევრი გვყავს.

შემდეგ ამხანაგმა ვასილ მჟავანაძემ ილაპარაკა ახალი ცხოვრების მშენებლებზე — შესანიშნავ ქართველ ახალგაზრდებზე, შრომასა და ბრძოლაში ჩვენს ერთგულ მეგობრებზე — საქართველოს სახელოვან ქალებზე. ბედნიერება და ახალი გამარჯვებები უსურვა მათ.

საბჭოთა საქართველოს დღევანდელი წარმატებანი — თქვა მომხსენებელმა, — ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის განხორციელების, იმ მუდმივი ურთიერთდახმარების შედეგია, რომელსაც ერთმანეთს უწევენ საბჭოთა კავშირის ხალხები.

ახლა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოველმყოფელი მეგობრობით გამსჭვალულია მთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი კომუნისტური მშენებლობის მთელი პროგრამა. ეს მეგობრობა გამოიხატება მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო კავშირურთიერთობის გაფართოებით, მათი შეჯიბრებებით, ურთიერთდახმარებით, მოწინავე გამოცდილების გაზიარებით, ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებით.

ასეთი ურთიერთგამდიდრების შეტად მკაფიო, ჭეშდითი ფორმაა უკვე ტრადიციად ქცეული პოეზიის დღეები, კულტურის კვირეულები და დეკადები, რომლებიც ეწყობა ჩვენში და მოძმე რესპუბლიკებში. ისინი ყოველთვის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ამაღელვებელ დემონსტრაციად გადაიქცევიან ხოლმე. ამაში ვხედავთ იმ ხალხოვანი ტრადიციების გაგრძელებას, რომლებიც დაკავშირებულია ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის; ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას; ვაგიფის, მირზა ფატალი ახუნდოვის, საიათნოვას, გაბრიელ სუნდუკიანცის, ოვანეს თუმანიანისა და ავეტიქ ისააკიანის; სულხან საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილისა და ბევრ სხვათა სახელთან.

უკვე ვილაპარაკეთ, თუ რა გულთბილად და გულითადად წერდნენ ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთის შესახებ, რუსი ხალხის შესახებ, ამასთან მუდამ მადლიერებით ვკითხულობთ ხოლმე დიდი რუსი მწერლების, პოეტების, აგრეთვე სხვა მოძმე ხალხების ლიტერატორთა შესანიშნავ ქმნილებებს, იმათ ქმნილებებს, ვინც დაგვიტოვა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, ვისაც არაერთხელ დაუხატავს თავის ნაწარმოებებში საქართველო, მისი ბუნება, მისი ხალხი, და გამოუხატავს მეგობრობა და ძმობა ქართველი ხალხისადმი.

ერთიან, ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები. ამ ძმურ ოჯახში არიან ლენინის ორდენოსანი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ლენინის ორდენოსანი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ლენინის ორდენოსანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს უველა მშრომელთან მჭიდრო თანამეგობრობით, ჩვენი ქვეყნის უველა ხალხის ძმური დახმარებით ამ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ახლა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, შესრულდა ლენინის პირველი განაწესი კავკასიის კომუნისტებისადმი — ჩვენში შეიქმნა ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში!

ჩვენ გავიგეთ, რომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ამა თუ იმ ფორმით აღნიშნავენ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებიც.

მაგრამ აგრეთვე ვიცით, რომ ამ დღეებში ჩვენმა მტრებმა კაპიტალისტური სამყაროდან საბჭოთა საქართველოს მისამართით გააჩაღეს ღვარძლიანი პროპაგანდა. ამ საქმეში განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ მენშევიკების ნაბოლარები, რომლებიც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი, ცილი დასწამონ საბჭოთა საქართველოს, გააბიაბრუონ ჩვენი მიღწევები.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის XXIV ყრილობაზე გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ შეუნელებელი იდეოლოგიური ომის პირობებში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სოციალიზმის სამყაროს წინააღმდეგ აწარმოებს იმპერიალისტური პროპაგანდა, იყენებს რა ამისათვის უველაზე გაწაფულ ხერხებს.

დაე, დღეს ჩვენმა ზეიმმა, ჩვენმა სახელოვანმა დღესასწაულმა ძველისძველ ქართულ მიწაზე, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მშვენდება და იფურჩქნება, ერთხელ კიდევ ამცნოს მსოფლიოს სიმართლე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ, კომუნისტურ მშენებლობაში მისი წარმატებების შესახებ.

ამხანაგებო!

საბჭოთა საქართველომ გადააბიჯა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას, ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტია!

მეორე ორმოცდაათწლეული! ქართველი ხალხი, საქართველოს უველა მშრომელები მას იწყებენ შემოქმედებითი ძალღონითა და ენერგიით, იმ მტკიცე რწმენით აღსავსენი, რომ თითოეული ახალი წელი იმ გზაზე, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა მიდის მთელ ქვეყანასთან ერთად, მოუტანს მას ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას, ახალ წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველოს მშრომელები მოიპოვებენ ამ ახალ, სახელოვან გამარჯვებებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მედროშეს!

ამხანაგ ვასილ მჟავანაძის მოხსენების დროს დარბაზში არაერთხელ გაისმა მჟუხარე ტაში.

„პრაგვი“ ტოკიოში

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ვაჭრობის მინისტრი ვახტანგ თოხაძე შესვლა იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ჯგუფს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ტოკიოში ქართული რესტორნის — „არაგვის“ გახსნის თაობაზე.

იაპონიაში ქართული რესტორნის გახსნის იდეა ასე დაიბადა: როცა მოსკოვში იმყოფებოდა იაპონიის ლიბერალური დემოკრატიული პარტიის ვიცე-პრეზიდენტი კავასიმა, იგი ქართულ რესტორან „არაგვში“ დაპატიჟეს. იაპონიაში დაბრუნების შემდეგ ბატონმა კავასიმამ მეგობრებს გაუზიარა განზრახვა — ტოკიოში გაეხსნა ქართული რესტორანი, რომლის სამზარეულო მას ძალზე მოეწონა.

აწ განსვენებული კავასიმას ახლო მეგობრებმა ტოკიოს ცენტრში უკვე იყიდეს მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდება 10-სართულიანი სავაჭრო სახლი. მერვე სართულზე იქნება ქართული რესტორანი „არაგვი“.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რესტორანი „არაგვის“ შექმნის ორგანიზატორებს ქართველი მხატვრები დაეხმარებიან დარბაზების გაფორმებაში. იაპონიაში ერთი წლით წავა ქართული კულინარიის ოსტატი, თბილისში კი სტაჟირებაზე ჩამოვა ორი იაპონელი მზარეული. გათვალისწინებულია ქართული ღვინის, შამპანურის, კონიაკის, სურნელის, სულუგუნისა და სხვათა შესყიდვა. გათვალისწინებულია აგრეთვე ქართული მელოდიების ჩანაწერების, ეროვნული ტანსაცმლის ნიმუშების, იმ ფოტოსურათების შესყიდვა, რომლებზეც აღბეჭდილია საქართველოს ბუნება. იაპონელები შეიძენენ აგრეთვე კინოფილმებს რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ.

მასპინძლობდა ჩვენი რესპუბლიკა

მაისის პირველ დღეებში ბევრი სტუმარი ეწვია ჩვენს დედაქალაქს. 3 მაისს თბილისში ჩამოვიდნენ დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, ისლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირული დელეგაციები, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით მონაწილეობდნენ საპირველმაისო ზეიმზე მოსკოვში. პროფკავშირული მოღვაწენი გაეცნენ თბილისის საქალაქო მეურნეობასა და ღირსშესანიშნავ ადგილებს. ესტუმრნენ რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანას.

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეცნობოდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ახალი საცხოვრებელი რაიონები, ეწვივნენ გარდაბნის რაიონს, ნახეს თელეთის მექანიკური სარწყავი სისტემა.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი დედაქალაქი მასპინძლობას უწევდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლეს ქალბატონ შუმანს და საფრანგეთის მოსკოველი ელჩის მეუღლეს ქალბატონ სიიდუ დე კლოზონს.

სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მუზეუმში.

მოკლედ

უცხოეთის ტელეკრანებზე

თბილისში ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებას ესტუმრნენ დასავლეთ გერმანიის ტელეკომპანიის წარმომადგენლები. გერმანელები იღებენ სამნაწილიან ფილმს, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ფირზე უკვე აღბეჭდა თბილისის, მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, გერმანელი ოპერატორები იყვნენ ხელნაწერთა ინსტიტუტში და გადაიღეს პალიმფსესტები, უძველესი ქართული მინიატურები. ფილმში საუბარი იქნება ქართულ ანბანზე, რომელიც ერთ-ერთი თავისთავადი და უძველესია მსოფლიოში.

სტუმრები ეწვივნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს და მხატვარ კობა გურულს. გადაიღეს მათი ნამუშევრები. იყვნენ თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, დაესწრნენ ერეკლე II-ის ძეგლის გახსნას თელავში. ფირზე აღბეჭდეს აგრეთვე იყალთოს უძველესი აკადემია და მისი შემოგარენი. შემდეგ ეწვივნენ გორს, გადაიღეს სტალინის სახლ-მუზეუმი. გერმანელები საქართველოს სოფლის მეურნეობითაც დაინტერესდნენ. მათ ინგირის საბჭოთა მეურნეობაში გადაიღეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. მერე ესტუმრნენ სოხუმს. ფირზე აღბეჭდეს გაგრა, ბიჭვინთა და საქართველოს სხვა სანაპირო კურორტები. მათ ცალკე 15-წუთიანი ფილმი მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ზეიმს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ტელევიზიამ მოაწყო გადაცემა საქართველოს დედაქალაქზე, ხოლო ახლახან ქართული კულტურით დაინტერესდნენ ინგლისში. ბი-ბი-სი აპირებს გადაიღოს ფილმი საქართველოს შესახებ. ყოველივე ეს მოწმობს ჩვენი კულტურის პოპულარობას უცხოეთში.

საქართველოზე მოუთხრობენ

საქართველოს, მის მთასა და ბარს, ქალაქსა და სოფელს, გამრჯე, შრომისმოყვარე ხალხს, მათს წარმატებებს მეცნიერებასა და ტექნიკაში, სოფლის მეურნეობასა და კულტურაში ახალი ამბების საგენტოს საზღვარგარეთის გამოცემების მეშვეობით ეცნობიან მსოფლიოს ოთხმოც ქვეყანაში.

ქართველი თუ უცხოელი კორესპონდენტები საქართველოს ლამაზ და ღონიერ სოფელზე, მის წინსვლასა და მშვენებაზე, სოფლის მოწინავე ადამიანებზე მოუთხრობენ ფრანგებს ჟურნალ „ეტიუდ სოვიეტიკის“, ინგლისელებს „სოვიეტ უიკლის“, ინდოელებს „სოვიეტ ლუნდის“, გერმანელებს „სოვიეტ უნიონ ჰოიტეს“, ამერიკელებს „სოვიეტ ლაიფის“, იუგოსლაველებს „ზემლია სოვეტას“, ვიეტნამელებს „ლიენ-სოს“ და სხვა ჟურნალების ფურცლებზე.

პოლონური ჟურნალის „კრაი რადის“ უკანასკნელ ნომერში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა, გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის შოთა ჭანუყვაძის წერილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევებსა და საქართველოს სოფლის პერსპექტივებზე.

უნგრულმა ჟურნალმა „ჰეპ ეს იუსამ“ უკანასკნელ ნომერში დასტამბა სპეციალური კორესპონდენტის ფერენც ვილტაის საუბარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ იოსებ რთველიაშვილთან, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორ მიხეილ სარჯველაძესთან და ფარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორ იაკობ კავილაძესთან.

ჟურნალები დასურათხატებულია ქართველ ფოტოკორესპონდენტთა ნამუშევრებით.

„მოსკოუ ნიუს“-ის ფურცლებზე

გაზეთ „მოსკოუ ნიუს“-ის ერთ-ერთ ბოლო ნომერში ფართოდ არის გაშუქებული მოზეიმე საბჭოთა საქართველო. გაზეთში, რომელიც ოთხ ენაზე გამოდის (ინგლისურზე, ფრანგულზე, ესპანურზე და არაბულზე), მოთავსებული წერილები მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ჩვენს კულტურაზე, ყოფაზე, მიღწევებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის წერილი მკითხველს მოუთხრობს რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან გზაზე, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე გივი მელაძე საინტერესოდ აშუქებს საქართველოს ურთიერთობას უცხოელთან.

გაზეთს საზეიმო ილუსტრაცია აქვს. უხვად არის დასურათხატებული საქართველოს ყოფის ამსახველი სურათებით.

ახალი მაგისტრალი

თბილისის ცენტრიდან აეროპორტში მისვლას თითქმის მთელი საათი სჭირდებოდა. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მგზავრობა ძნელი და მოუხერხებელი იყო. სულ სხვა მდგომარეობაა ახლა, როცა აშენდა ახალი გზა, რომელზეც პირველმა ავტომანქანებმა ზეიმის წინადღეებში გაიარეს.

60 მეტრი სიგანის მაგისტრალი რომლის სიგრძე 13 კილომეტრია დიდი სირთულის მიუხედავად, მშენებლებმა სწრაფად გაიყვანეს. საჭირო გახდა რამდენიმე შენობის აღება, აიგო 6 ახალი ხიდი და 11 მიწისქვეშა გადასასვლელი. აღსანიშნავია, რომ 40 მეტრი სიგანის ხიდები წინასწარდაძაბული, ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა და ისინი რთულ საინჟინრო ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნებიან.

ავტოსტრადა პირველი კატეგორიისაა — შედგება 4 სამანქანო ზოლისაგან. აქამდე ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო 2 შუა, ეგრეთ წოდებული ჩქაროსნული ზოლის მშენებლობაზე. მთლიანად მაგისტრალის დამთავრება გათვალისწინებულია 1973 წლისათვის.

საიუბილეო ნოგათეგი


საიუბილეო გამოფენაზე

იუბილეს დღეებში საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

განსაკუთრებული ხალხმრავლობაა გალერეის ცენტრალურ დარბაზში. დამთვალიერებელნი დიდხანს ჩერდებიან საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის რობერტ სტურუას მრავალფიგუროვან კომპოზიციასთან. ცნობილმა ქართველმა მონუმენტალისტმა ტილოზე ასახა ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნის მომენტი თბილისში 1921 წელს.

ამავე დარბაზში უურადღებას იპყრობს მხატვარ ივანე ვეფხვაძის კომპოზიცია „ლენინის დავალებით“, მოწონებას იმსახურებს ახალგაზრდა ფერმწერის ილია პატაშურის ნაწარმოები „გლეხთა ჰანყება დუშეთში“.

დიდი ინტერესით ეცნობიან დამთვალიერებელნი საქართველოს დამსახურებული მხატვრების ნამუშევრებს: ვახტანგ ადვაძის „1921 წლის 25 თებერვალი“. შოთა ხოლუაშვილის „რევოლუციის მხარეზე“, გრიგოლ ჩირინაშვილის „საბჭოთა ხელისუფლებასათვის“, გოგი თოთიბაძის „ჯანუა გურიაში“. ქართველ სოფლის მშრომელთა ცხოვრებაზე მოგვითხრობენ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების დინარა ნოდიას, თენგიზ ჯაფარიძის, ეკატერინე ბაღდავაძის, გივი გულისაშვილის, ალექსი გიგოლაშვილის სურათები. მშენებლობასა და საბჭოთა ინდუსტრიის განვითარებას მიუძღვნეს თავიანთი ნამუშევრები ახალგაზრდა მხატვრებმა გივი ნარმანიამ, გრიგოლ ბენაშვილმა, ინბერგ სიხარულიძემ, გიორგი კეშელავამ, ნელი კანდელაკიმ.





სურათებზე: ალექსანდრე ციხელაშვილის „1921 წელი საქართველოში, თემურ ლომინაძის „შემოდგომა“, ჯემალ ცუცქირიძის „არქეოლოგი“.

კოგორც ყოველთვის, ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ ფუნჯის დიდოსტატების კომპოზიციები — უჩა ჯაფარიძის „სტუმრად მეჩაიეებთან“, ლადო გუდიაშვილის „შეუვარებულნი“, აპოლონ ქუთათელაძის „თამარ მეფის ნადირობა“, სამსონ ნადარეიშვილის „ფიროსმანის სადღეგრძელო“, ქეთევან მაღალაშვილის „ბავშვის პორტრეტი“, კორნელი სანაძის „მანანას სურათი“, ხ. ქართველოს დამსახურებული მხატვრების კონსტანტინე მახარაძის, თენგიზ მირზაშვილის, ზელიმხან გოგოლაშვილის, ვანი მეძმარიაშვილის, რუსუდან ჯავრიშვილისა და სხვათა ნამუშევრები.

დიადი წლების ქრონიკა

1955

აპრილი. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ აითვისა ბელომყარატის წარმოება.

ოქტომბერი. აღინიშნა დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავი.

ნოემბერი. დამთავრდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მშენებლობა.

დეკემბერი. საექსპლოატაციოდ გადაიცა თეძამ-ოკამის სარწყავი სისტემა.

1956

2 I. საექსპლოატაციოდ გადაიცა თბილისის კოტონის წინდის ფაბრიკა.

18-21 I. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა.

აპრილი. მწყობრში ჩადგა რუსთავის ცემენტის ქარხანა.

მაისი. თბილისში მტკვარზე აიგო ახალი — 300 არაგველის სახელობის ხიდი.

ნოემბერი. ექსპლოატაციაში შევიდა ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის პირველი და მეორე აგრეგატი.

30 XII. თბილისში დაიწყო სატელევიზიო გადაცემები.

1957

15 VI. დამთავრდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის პირველი რიგის ახალი კორპუსი, რომელშიც მოთავსდა აკადემიის 8 ინსტიტუტი.

1-5 VII. გაიმართა ამიერკავკასიის პირველი „თეატრალური გაზაფხული“.

აგვისტო. საექსპლოატაციოდ გადაიცა ჭიათურის მანგანუმის ახალი — ითხვისის მაღარო და ცენტრალური გამამუხვებელი ფაბრიკა.

ოქტომბერი. შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

12 XII. გაიხსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და სამთო საქმის ახალი ინსტიტუტი.

30 XII. თბილისის ელექტრომავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა პირველი რვაღერძიანი ელექტრომავალი.

1958

27-29 I; გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა.

ოქტომბერი. ზეიმით აღინიშნა თბილისის 1500 წლისთავი.

ნოემბერი. ქუთაისის ქარხანამ გამოუშვა პირველი ქართული ტრაქტორი „რიონი“.

დეკემბერი. მწყობრში ჩადგა გუმათჰესი.

1959

იანვარი. მწყობრში ჩადგა „თბილსელსაწყოს“ ქარხანა და საიზოლაციო მასალების ელექტროიზოლატორის ქარხანა.

იანვარი. ლილოში მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ. იგი უშვებს ჩაის საკრეფ მანქანებს, სამთო ტრაქტორებს და სხვა აგრეგატებს.

იანვარი. ამუშავდა თბილისის ბეტონის მძლავრი ქარხანა და ბეტონის ნაკეთობათა კომბინატი.

12-13 I. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა.

ივლისი. მწყობრში ჩადგა ტაშისკარის სარწყავი არხის მთელი სისტემა.

24 X. მოხდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის ფიზიკური გაშვება.

6 XI. დამთავრდა ამიერკავკასიის გაზსადენის მშენებლობა ყარადაღ-თბილისის ტრასაზე და საზეიმოდ აინთო ბუნებრივი გაზი.

31 XII. გაიხსნა საელმავლო მიმოსვლა თბილისი-ცხინვალი-გორი.

1960

24 I. ამუშავდა საქართველოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგური ლაჯანურჰესი.

25-26 I. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ნოემბერი. წულუკიძეში გაიხსნა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა.

დეკემბერი. მწყობრში ჩადგა წნორის მექანიკური ქარხანა, თელავის ყველისა და კარაქის მექანიზებული ქარხანა და ახალციხის საკონსერვო ქარხანა.

1961

აპრილი. დაიწყო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობა.

12 V. აღინიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი.

ივლისი. ვიზეიმეთ ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავი.

27 IX. გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა.

1962

13-17 IX. თბილისში გაიმართა მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი.

17 X. ნონა გაფრინდაშვილმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა ჭადრაკში.

დეკემბერი. დამთავრდა ლენინგრად-მოსკოვ-როსტოვ-თბილისი-ლენინაკანის რკინიგზის მაგისტრალის ელექტრიფიკაცია.

1963

14 II. მწყობრში ჩადგა რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნის ორი ძირითადი საამქრო.

5 V. დამთავრდა სიონის წყალსაცავის მშენებლობა.

2 X. გაიხსნა გაზსადენი — ორჯონიკიძე-თბილისი.

23 X. პირველი პროდუქცია გამოუშვა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმომ.

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიანიჭა:

ლიტერატურის დარგში

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძეს — მოთხრობებისათვის „სიკვდილი ცოტას მოიცდის", „მამია ჯაიანი", „ცაბუნია", „როცა კაცი მარტოა", „ერთი ღამის საუკუნე", „მაისის დილა", „ცისფერი დუნაი" და მოთხრობებისათვის „ჩემი პირველი კომკავშირელი", „გაუმარჯოს დონ კიხოტს", „ორთაჭალის მეთევზეები", რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულში „ერთი კარგი წელიწადი".

საბავშვო ლიტერატურის დარგში

არჩილ სოლომონის ძე სულაკაურს—ზღაპრისათვის „სალამურას თავგადასავალი".

მუსიკალური ხელოვნების დარგში

ალექსი დავითის ძე მაჭავარიანს — მუსიკალური ციკლისათვის „ხუთი მონოლოგი" ხმისა და ორკესტრისათვის ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით.

სახვითი ხელოვნების დარგში

ელენე დიმიტრის ასულ ახვლედიანს — ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა სერიებისათვის „თბილისი" და „საქართველოს პეიზაჟები", რომლებიც ამ ბოლო ორ წელიწადში შექმნა.


თეატრალური ხელოვნების დარგში

ვასილ დავითის ძე გოძიაშვილს — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლებში „ძველ ვოდევილებსა" და „კაცია ადამიანში" მთავარი როლების შესრულებისათვის.

სერგო ალექსანდრეს ძე ზაქარიაძეს — ამ ბოლო ორ წელიწადში შექმნილი სცენური სახეებისათვის — სიკვდილის შიშდეგ.

პინოხელოვნების დარგში

გურამ ვასილის ძე პატარაიას — სატელევიზიო ფილმებისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე" და „შორია გურჯისტანამდე".



სურათზე: საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. მხატვარ ლევან გამყრელიძის სკულპტურული ჯგუფი — „შემოქმედება".
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

1964

29-30 I. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

22 II. დამთავრდა კახეთის რკინიგზის ლილო–საგარეჯოს ელექტრიფიკაცია.


25 III. მწყობრში ჩადგა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ლითონდადნობის საამქრო.

26 XI. მწყობრში ჩადგა ერთერთი უდიდესი საწარმო-ავჭალის სილიკატური აგურის ქარხანა.

1965

11 I. ამუშავდა რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა.

26 II. დამთავრდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოცემა.



ივნისი. დამთავრდა კახეთის რკინიგზის მთლიანი ელექტრიფიკაცია.

დეკემბერი. დამთავრდა თელავის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა.

1966

11 I. ექსპლოატაციაში შევიდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი.

25 I. დაიწყო ენგურჰესის კაშხალის მშენებლობა.

2-4 III. გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

სექტემბერ-ოქტომბერი. ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

1967

აპრილი. ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" შემქმნელ სპეციალისტთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემია.

აგვისტო. რესპუბლიკის მშრომელები გადავიდნენ ხუთდღიან სამუშაო დღეზე.

1968

სექტემბერი. ფართოდ აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლისთავი.

17 სექტემბერი. თბილისში გაიხსნა ვეთერზეთების IV მსოფლიო კონგრესი.

1969

16-22 IX. მოსკოვში მიმდინარეობდა ქართული მეცნიერების დღეები.

25-27 IX. გაიმართა საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა.

1970

აპრილი. აღინიშნა ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

მაისი. მწყობრში ჩადგა რუსთავის ჰიმიური კომბინატის ამიაკის ახალი მძლავრი წარმოების მეორე რიგი.

მაისი. აღინიშნა პოეტ გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 70 წლისთავი.

1971

27 II. გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა.

29 III. პირველი სამრეწველო ელექტროენერგია მოგვცა ენგურჰესის № 2 ჰიდროტურბინამ.

13 IV. გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.

4 V. გაიხსნა ახალი საჰაერო რეისები თბილისი-სტავროპოლი, სოხუმი-ხაბაროვსკი, ჭუთაის-დონეცკი, ჭუთაის-ლენინგრადი, სოჭი-თბილისი-ალმა-ათა, თბილისი-რიგა.

ბრწყინვალე სტარტი

ოლომპიადაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირზე, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდში მიმდინარეობს, შესანიშნავად თამაშობს საბჭოთა მოჭადრაკეების ლიდერი, ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, ქართველი გოგონა ნანა ალექსანდრია. თბილისელმა სტუდენტმა პირველი ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოიგო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მართალია, მერეე ტურში ნანას ტრიუმფული სვლა იუგოსლაველმა მოჭადრაკემ ლაზარევიჩმა შეაჩერა და ლიდერს პირველი დამარცხება აგება, მაგრამ მრავლისმთქმელი სტარტი იმედს იძლევა, რომ ნანა იმ სამეულში შევა, რომელიც გაივრძელებს ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან მატჩის თამაშის უფლებისათვის.

ამჟამად ნანას 9 თამაშიდან 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ყველაფერი ჭადრაკზე

ოჭადრაკე და ჟურნალისტი თენგიზ გიორგაძე ამ უძველეს თამაშს დიდ პოპულარიზაციას უწევს. მისი სტატიები, რომლებიც ასე ხშირად იბეჭდება ქართულ პრესაში. გამოსვლები ტელევიზიით, ყოველთვის საინტერესოა. ახლახან თითქმის ერთდროულად გამოვიდა თენგიზ გიორგაძის ორი წიგნი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჰადრაკს მიეძღვნა. ერთის სათაურია — „ჰადრაკი ძველ საქართველოში". მასში განხილულია საქართველოში ჰადრაკის ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი თავისი მიღწევებითა და პრობლემებით. ამტომაც წიგნს გარკვეული შემეცნებითი ღირებულება აქვს.

მეორე წიგნი კი ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე ქალს ნონა გაფრინდაშვილს ეძღვნება, უფრო სწორად მასში აღწერილია ის ბრძოლები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მისამედ მოსაპოვებლად ნონამ ალა კუშნირთან გამართულ მეორე მატჩში გადაიხადა (1969 წლის აპრილ-მაისში).

წინ ნახევარფინალია

საბჭოთა ჩოგბურთელები გავიდნენ დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა" ზონის ნახევარფინალში. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა მეტრეველმა, ლიხაჩოვმა და კოროტკოვმა ანგარიშით 4:1 სძლიეს ბელგიის ძლიერ გუნდს. მანამდე კი საბჭოთა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს დანიელი ჩოგბურთელები. ამ შეხვედრაში „მეტრეველის გუნდის" უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო. ხუთი შეხვედრიდან მათ ხუთივე თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელების მოწინააღმდეგე იქნება ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

იმრავლოს

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო წოდება მიანიჭა საქართველოს სპორტსმენთა ჯგუფს, რომელთა სახელები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონს, 1963 წლის მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორს, ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ბრინჯაოს მედლის მფლობელს დავით გვანცელაძეს.

ეს საპატიო წოდება მიენიჭა აგრეთვე კალათბურთელ ვლადიმერ უგრუმელიძეს. იგი მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო.

სპორტის დამსახურებული ოსტატები გახდნენ ტანმოვარჯიშეები სერგო ჯაიანი და მოჭიდავე ომარ ეგაძე.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭათ ელენე გოკიელს, ბიძინა მაზიაშვილს, მარიამ კლდიაშვილს, ვლადიმერ მაისურაძესა და დიმიტრი კაპანაძეს.

კვლავ წარუმატებლობა

არასახარბიელო სტარტის შემდეგ თბილისის დინამოელებმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს: ერთი როსტოვში ადგილობრივ არმიელებთან (1:0) და მეორე შინ — ალმა-ათის „ყაირათთან" (1:0), რვა ქულა შეაგროვეს და ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ. ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, რომ თბილისელები მომავალ ასპარეზობებს კიდევ მეტი მონდომებითა და აღმავლობით გამართავდნენ.

იმედი არ გამართლდა. 18 მაისს დინამოელებმა, რომლებიც ტაშკენტის „ფახთაქორს" მასპინძლობდნენ, დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი (0:1).

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა, № 9 ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში — „ერეკლეს ძეგლი თელავში" უკანასკნელი აბზაცის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს: ამ შესანიშნავი ქანდაკების ავტორია მერაბ მერაბიშვილი.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

1921 50 1971

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.